დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების (შშმ პირების, მხცოვანი მოქალაქეების, ტერიტორიული/სოციალური მოწყვეტილობის გამო სერვისებს მოკლებული პირების, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონეთა და სახელმწიფო რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების) საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის სხდომის შემაჯამებელი

ოქმი N3
დუშეთი

16.10.2023

სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 16 ოქტომბერს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მანანა ნარიმანიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე;

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავჯდომარის მოადგილე;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომით ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომას ესწრებოდა სამუშაო ჯგუფის წევრთა სრული შემადგენლობა, ამდენად სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მისაღებად.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის №132.1322319810 (17.07.2023) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილობრივი სოციაური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების (შშმ პირების, მცხოვანი მოქალაქეების, ტერიტორიული/სოციალური მოწყვეტილების გამო სერვისებს მოკლებული პირების, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონეთა და სახელმწიფო რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების) საჭიროებათა კვლევის დასრულების და პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

/მომხსენებელი: მარიამ ავლახაშვილი/

მოისმინეს: მარიამ ავლახაშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, საჭიროებათა კვლევის დასრულებისა და პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მანანა ნარიმანიძემ; ნინო ჭინჭარაშვილმა; მარიამ ავლახაშვილმა.

სხდომის თავჯდომარემ ისაუბრა კვლევის პირველად ანგარიშზე, რომელიც ანკეტური ფორმების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა. 13 ოქტომბერს, სამუშაო ჯგუფმა, ქალაქ დუშეთსა და ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაროდ განიხილა საჭიროებათა კვლევის პირველადი ანგარიში. განხილვას ესწრებოდნენ, როგორც სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები და ადგილობრივი მაცხოვრებელები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურ სფეროში მოღვაწე

საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. დაინტერესებული მხარეების მიერ საჭიროებათა კვლევის ,ანაგარიშის პროექტი დადებითად შეფასდა. შემდგომ ეტაპზე, პროექტი წარედგინა მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს წარმოამდგენლებს, რომლებმაც კვლევის მიგნებების და პრიორიტეტული მიმართულებების განცობის და მსჯელობის შედეგად, ანაგრიში დადებითად შეაფასეს.

საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.

გადაწყვეტილება: სამუშაო ჯგუფზე დაკისრებული მოვალეობა ვადის ფარგლებში შესრულებულია, შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითების განხილვა ამოიწურა, სამუშაო ჯგუფის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე: /მანანა ნარიმანიძე/

სამუშაო ჯგუფის მდივანი: /მარიამ ავლახაშვილი/